

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი №8

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2019 წლის 29 აგვისტოს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:55 სთ-ზე).

**სხდომას ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარისვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დავითი ხუხია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს მ/შ - ზური წურწუმი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ნანა ალანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ბესიკ ნარმანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბი აფაქიძე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე - დინარა ხარბედია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე - ავ. ფოცხვერია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გენადი ხუხუნი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელების“ თავმჯდომარე - მურადი შამათავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელების“ თავმჯდომარის მოადგილე - ბორისი სოსელია; საკრებულოს წევრები: თამარი სალაყაია; მაია ადამია; ზურაბი სანაია; ლევან გაბელია; როზმანი ქამადაძე; მალხაზი ტორჩინავა; ბეჟანი სანაია; თეიმურაზ ვახანია; ელისო ცაგურია; პაატა ჯიქიძე, მალხაზ ტორჩინავა, ნუკრი შამათავა.

**ასევე ესწრებოდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: ი. წურწუმი; როზმანოზ თოდუა; მოქალაქე - ნანა შენგელია; ნიკა გაბისკირია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი - ვ. რუსია, აპარატის თანამშრომლები.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარისვილი;

### დღის წესრიგი:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის  
კომისიის თავმჯდომარე: მ/შ ზ. წურწუმი

2. „სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: მ/შ ზ. წურწუშია

3. „სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და პუბლიცისტის ვლადიმერ გაგუას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის  
კომისიის თავმჯდომარე: მ/შ ზ. წურწუშია

4. სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის: მ/შ ი. წურწუშია  
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუხია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0); სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინეს:** 1. „სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის  
კომისიის თავმჯდომარე: მ/შ ზ. წურწუშია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე“

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 22; წინააღმდეგი – 4) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქ. სენაკში, ცალმხრივმოძრაობიანი გზის ნინოშვილის ქუჩის სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს, ნინოშვილისა და ვახტანგ გორგასლის ქუჩების კვეთამდე, ნინოშვილის ქუჩა №5-ში არსებული უძრავი ქონებისა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №44.01.31.401) და ვახტანგ გორგასლის ქუჩა №15-ში არსებული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №44.01.31.713) სასაზღვრო მიჯნაზე დამოტაჟდეს საგზაო ნიშანი 3.27 - გაჩერება აკრძალულია.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, შ.რუსთაველის ქ. №247).

**მოისმინეს: 2** „სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის  
კომისიის თავმჯდომარე: მ/შ ზ. წურწუმია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26 ; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას უსახელო ქუჩას მიენიჭოს „კოსტანტინე გამსახურდიას“ სახელი. (ორთოფოტო თან ერთვის).

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში) ცნობარების და სხვ. დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვ.).

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გაუგზავნოს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. № 247).

**მოისმინეს: 3.** „სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და პუბლიცისტის ვლადიმერ გაგუას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის  
კომისიის თავმჯდომარე: მ/შ ზ. წურწუმია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და პუბლიცისტის ვლადიმერ გაგუას სახელის მინიჭებასთან

დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის კოტიანეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, მიეცეს თანხმობა სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და პუბლისციტის ვლადიმერ გაგუას სახელის მინიჭების თაობაზე.
2. გამოცემული განკარგულების ასლი გადაეგზავნოს სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

**მოსმინეს: 4** სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის:მ/შ ი. წურწუშია  
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუხია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის:ქ. სენაკი,შ. რუსთაველისქ. №247)

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი კალანდარიშვილი

სხდომის მდივანი: მ/შ

ირინე დგებუაძე

